იპოვე წყვილები

მოსწავლეები მაგიდაზე დალაგებულ ბარათებში ეძებენ ნახატისა და სიტყვის ბარათების წყვილებს.

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ორი ან მეტი მოთამაშე.

რესურსი: ბანქოს ზომის კვადრატული ბარათების დასტა სიტყვებითა და ნახატებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს ბარათების წყვილების დასტას. ბარათების წყვილი შეიცავს სიტყვასა და ნახატს, მაგალითად, ლომი:



- მასწავლებელი ყველა ბარათს პირქვე დააწყობს მაგიდაზე იმგვარად, რომ გამოვიდეს დიდი მართკუთხედი ან კვადრატი (მაგ., 4X4 ან 4X3).
- მოსწავლეებმა უნდა ამოაბრუნონ ბარათები და იპოვონ წყვილები. ყოველ სვლაზე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ორი ბარათის ამობრუნება.
- პირველი მოსწავლე ამოაბრუნებს ნებისმიერ 2 ბარათს და აჩვენებს დანარჩენებს. თუკი მას შეხვდა ბარათების წყვილი, დაიტოვებს მათ. ასეთ შემთხვევაში ისევ მისი სვლაა და ბავშვი ამოაბრუნებს სხვა ორ ბარათს. თუ ბარათებზე მოცემული სიტყვა ან ნახატი არ შეადგენს წყვილს, მოსწავლე, მას შემდეგ, რაც ყველას აჩვენებს, ადგილზე დააბრუნებს ბარათებს (ისევ პირქვე). მოსწავლეები იმახსოვრებენ, რომელი ბარათი სად დევს (მნიშვნელოვანია, რომ ბარათებს ადგილები არ შეეცვალოთ). სვლა კი გადადის შემდეგ მოსწავლესთან.
- მომდევნო მოსწავლეც ატრიალებს 2 ბარათს. ჯერ იღებს ერთს, თუ ბარათზე მოცემული სიტყვის/ნახატის წყვილი უკვე ნანახი აქვს, ცდილობს ზუსტად გაიხსენოს მისი ადგილმდებარეობა და აწყვილებს თავის ბარათთან. ასეთივე წესით აგრძელებს

დაწყვილებას, სანამ არ შეხვდება ისეთი ბარათი, რომლის წყვილიც ჯერ არ უნახავს ან მის მდებარეობას ზუსტად ვერ გაიხსენებს. თუკი მოსწავლემ პირველივე ბარათს ვერ მოუძებნა წყვილი, მაგრამ გაიხსენა მეორე ბარათის შესატყვისის ადგილმდებარეობა, მას უფლება აღარ აქვს, დააწყვილოს ეს ბარათები. ამ შემთხვევაში სვლა გადადის შემდეგ მოსწავლეზე.

- ასე გრძელდება, სანამ ყველა ბარათი არ გათამაშდება. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც მეტ წყვილს შეაგროვებს.

შენიშვნა: მსგავსი აქტივობის განხორციელება შესაძლებელია ლექსიკის კომპონენტშიც, სინონიმების ბარათების წყვილით.